სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნები აერთიანებს მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოქმნილ მოთხოვნებს და ასევე მომწოდებლებზე ავანსის სახით გადახდილ თანხებს, ასევე მოთხოვნებს საბანკო დაწესებულებების მიმართ, რომელიც წარმოქმნილია იმ ფულადი გადახდებიდან რომლის ასახვაც არ განხორციელებულა ჯგუფის ანგარიშებზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ბალანსზე არსებული მარაგები მოიცავს ნედლეულს და მასალებს, ასევე კვებითი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ სხვა მარაგებს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია რეალური ღირებულებით, რადგან ხორციელდება მათი ვალიანობის და გაუფასურების მუდმივი მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კორექტირება. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იხეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან

დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვება გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

შპს წისქვილი ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

ძირითადი საშუალებები

მიწა და შენობა-ნაგებობა ანგარიშგებაში ასახულია რეალური საბაზრო ღირებულებით, რომელიც შეფასებულია დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ და წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად. სხვა ძირითადი საშუალებები აღიარებულია თვითღირებულებას გამოკლებულ დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარიცხი, როცა მოითხოვება. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება განცალკევებულ აქტივად, შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულება შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება ან ზარალში. გასულ წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი ამობრუნდება, შესაბამისად, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებულ შეფასებებში ცვლილებებს. გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება ან ზარალში „სხვა საოპერაციო ხარჯები - წმინდა“ მუხლში.

ცვეთა და ამორტიზაცია

სხვა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ერთეულების ცვეთა და ამორტიზაცია გაანგარიშება შემცირებად ნაშთის მეთოდის გამოყენებით:

ცვეთის/ამორტიზაციის განაკვეთი

	ცვეთის/ამორტიზაციის განაკვეთი
შენობა-ნაგებობა	5 %
მანქანა-დანადგარები	10-25 %
ავჯი და ოფისის აღჭურვილობა	10-25 %
ავტომობილები	20-25 %
სხვა ძირითადი საშუალებები	20 %
	15 %

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და საჭიროებისამებრ შეიცვლება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი აღრიცხულია თვითღირებულებით და კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

შპს წისქვილი ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გამსესხებლისთვის გადასახდელი ფულის რაოდენობის მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). მიღებული სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და წარდგენილია ფინანსურ ხარჯებში.

სესხით მომსახურებაზე განხორციელებული გადახდები (საპროცენტო ხარჯი) აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდის დანახარჯზე რომელშიც მოხდა მისი გაწევა.

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. არსებული სესხები წარმოადგენს საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებულ ვადიან სესხებს

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესების მიერ. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი ჯგუფის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა ჯგუფზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა ჯგუფის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო ჯგუფის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული ჯგუფის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

ღივიღენდები

ღივიღენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება საკუთარი კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება და დამტკიცდება. ჯგუფის დამტკიცებული ბუღალტრული ანგარიშები არის საფუძველი მოგების განაწილების და სხვა სათანადო მოქმედებების. ქართული კანონმდებლობით მოგების განაწილების საფუძველს წარმოადგენს მიმდინარე და წინა წლების წმინდა მოგება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასის თანხით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებას ჯგუფი მოულის, რომ მოიპოვებს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარის სახელით მიღებული სახსრებისა.

ამონაგები აღიარდება ნეტო თანხით ფასდაკლებების, ფასდათმობების, უკან დაბრუნებების, დღგ-ს, საექსპორტო მოსაკრებლების და სხვა მსგავსი სავალდებულო გადასახადების გარეშე. ჯგუფის შემოსავალს აღიარებს მომხმარებლისათვის შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამის პერიოდში.

შპს წისქვილი ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

მარაგების თვითღირებულება

სარესტორნო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული არსებითი ხარჯები მოიცავს იმ მარაგების თვითღირებულებას, რომლის ხარჯვაც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასთან. ეს ნედლეული ანგარიშგებაში ჩამოიწერება ჯგუფის პოლიტიკით წინასწარ განსაზღვრული კალკულაციების შესაბამისად საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

მარაგების თვითღირებულების ხარჯი ასევე მოიცავს წისქვილი ბაზარის მიერ გაყიდული მარაგების ჩამოწერისგან მიღებულ ხარჯებს, რომელიც გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს საიჯარო ხარჯებს, საოფისე ხარჯებს, კომუნიკაციის და საკონსულტაციო ხარჯებს, ასევე ხარჯებში გაერთიანებულია რემონტის ხარჯები.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შენიშვნა 4 - შემოსავალი სარესტორნო და სხვა მომსახურებიდან

	2024	2023
შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან	40 977 625	35 314 617
შემოსავალი გაყიდვებიდან	8 117 686	8 105 835
სულ შემოსავალი სარესტორნო და სხვა მომსახურებიდან	49 095 311	43 420 452

შენიშვნა 5 - ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
საიჯარო ხარჯი	1 302 647	804 677
რემონტის ხარჯი	240 992	269 839
საკომუნიკაციო ხარჯი	74 949	67 734
საკონსულტაციო ხარჯი	387 233	277 456
ტრანსპორტირების ხარჯი	157 788	141 723
სამეურნეო ხარჯი	340 608	143 448
მომსახურების ხარჯები	1 789 757	1 904 384
სადეზინფექციო და სხვა მომსახურება	221 477	195 235
სხვა ხარჯი	476 809	1 067 471
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	4 992 260	4 871 968

შპს წისქვილი ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი
შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები

საწყისი ღირებულება	მიწა	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება	10 839 703	10 904 941	2 798 948	1 626 092	91 254	1 723 158	27 984 097
ცვეთა	-	(1 975 447)	(1 720 636)	(997 455)	(31 136)	(802 193)	(5 526 867)
ბალანსი 31/12/2022	10 839 703	8 929 494	1 078 312	628 637	60 118	920 965	22 457 230
დანამატები	-	155 891	204 063	355 914	-	1 172 899	1 888 766
აქტივების ჩამოწერა	-	-	(6 179)	(6 261)	-	(499 206)	(511 647)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(553 042)	(407 118)	(288 921)	(16 631)	(217 107)	(1 482 818)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	2 343	2 691	-	-	5 034
ბალანსი 31/12/2023	10 839 703	8 532 344	871 422	692 060	43 487	1 377 551	22 356 566
დანამატები	-	30 460	616 808	476 013	26 772	1 254 336	2 404 389
აქტივების ჩამოწერა	-	-	(1 105)	(1 233)	-	(1 505)	(3 842)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(554 565)	(501 956)	(369 766)	(21 972)	(475 324)	(1 923 582)
ბალანსი 31/12/2024	10 839 703	8 008 239	985 169	797 074	48 287	2 155 058	22 833 530
ბალანსი 31/12/2023	10 839 703	8 532 344	871 422	692 060	43 487	1 377 551	22 356 566
ბალანსი 31/12/2024	10 839 703	8 008 239	985 169	797 074	48 287	2 155 058	22 833 530

შპს წისქვილი ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

შენიშვნა - 7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	31.12.2024	31.12.2023
საქონელი	1 454 265	1 300 924
ნედლეული და მასალები	390 227	365 003
დაუმთავრებელი წარმოება	155 541	97 947
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	194 359	242 596
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2 194 393	2 006 470

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	657 908	821 608
მომწოდებლებთან გადახდილი ავანსები	347 557	274 385
მოთხოვნები ბანკების მიმართ	2 840	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 008 305	1 095 993

შენიშვნა 9 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ლარი საბანკო ანგარიშებზე	557 338	683 876
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	6 386	9 756
ნაღდი ფული საღაროში	111 504	77 354
ჯამურად ნაღდი ფული საღაროში	111 504	77 354
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	675 228	770 986

შენიშვნა 10 - სასესხო ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ვალდებულებები საფინანსო ინსტიტუტებთან ეროვნულ ვალუტაში	10 421 313	9 402 273
ვალდებულებები საფინანსო ინსტიტუტებთან უცხოურ ვალუტაში	-	154 350
ვალდებულებები იურიდიული პირებისგან ეროვნულ ვალუტაში	140 000	140 000
სულ სასესხო ვალდებულებები	10 561 313	9 696 623

საანგარიშო პერიოდების შესაბამისად სესხის მოძრაობა იყო შემდეგი:

	2024	2023
ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	9 696 622	10 315 300
სესხზე დარიცხული პროცენტი	1 206 760	1 146 432
მიღებული ფულადი სახსრები	2 120 000	6 199 669
გადახდილი პროცენტი	(1 206 760)	(1 146 432)
გადახდილი ძირი თანხა	(1 252 128)	(6 705 372)
დადებითი საკურსოს სხვაობა	(3 181)	(112 975)
სულ ნასესხები სახსრები	10 561 313	9 696 622
მიმდინარე ნაწილი	1 507 986	1 285 402
გრძელვადიანი ნაწილი	9 053 327	8 411 221

შენიშვნა 11 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3 351 658	3 090 861
მიღებული ავანსები	843 403	819 493
გადახდილი ხელფასები	787 489	582 919
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4 982 549	4 493 274

12. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სახელფასო ფონდი 2024 წელს შეადგენდა 837 969 ლარს, ხოლო 2023 წელს 226,410 ლარს სხვა სახის ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არ არის იდენტიფიცირებული.

შპს წისქვილი ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

14. ჯგუფის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ფინანსური ანგარიშგების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე სასესხო ვალდებულებები შეადგენს 1 507 986 ლარს, გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 9 053 327 ლარია, ხოლო ჯგუფის ფულადი სახსრები შეადგენს 675 228 ლარს, ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა წარმოქმნას ეჭვი ჯგუფის უნართან დაკავშირებით დროულად დაფაროს ვადადამდგარი სასესხო ვალდებულებები, რადგან მომავალ წელს ჯგუფს უწევს მნიშვნელოვანი სესხის დაფარვა და მისი ლიკვიდური აქტივები საკმარისი არ ჩანს ამ თანხის დასაფარად, თუმცა აღსანიშნავია, რომ ჯგუფის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შედეგი დადებითია და შეადგენს 4 052 333 ლარს, ასევე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პერიოდის მოგება.

გასათვალისწინებელია, რომ წინამდებარე ანგარიში მომზადდა 2025 წლის ნოემბერში და ფაქტია, რომ ჯგუფს საქმიანობა არ შეუწყვეტია და არც საქმიანობის მასშტაბი შეუმცირებია. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ შეძლებს მიმდინარე სასესხო ვალდებულების დათქმულ ვადებში დაფარვას, ხოლო გრძელვადიანი სესხის ვადაზე ადრე დაბრუნების საკითხი არ წამოიჭრება. ამ ანალიზისას მენეჯმენტი ითვალისწინებს ჯგუფის წარსულ გამოცდილებასაც, რაც ამყარებს პოზიციას, რომ საწარმო გააგრძელებს უწყვეტ ფუნქციონირებას.

ზემოთ აღწერილი ყველა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოს წარმოადგენს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში წისქვილი ჯგუფმა გაასხვისა შპს „წისქვილი ბაზრის“ წილი. სხვა სახის ცვლილება, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას იდენტიფიცირებული არ არის.

წისქვილი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება შპს წისქვილი ჯგუფი

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნასთან ერთად საანგარიშო წლისათვის,
რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები

1.1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „წისქვილი ჯგუფი“ რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში 2002 წლის 23 სექტემბერს და სამართლებრივად წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად. საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს ს/ნ 202200778; კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ბელიაშვილის ქ. 99, მორფოლოგიის ინსტ. მ/ტ.

კომპანიის დამფუძნებელი-პარტნიორებია შემდეგი ფიზიკური პირები:

- 1) ლაშა ჩხაიძე - 37.99 %
- 2) შოთა საღლიანი - 30.00%
- 3) ოთარ ლოლაშვილი - 17.51%
- 4) ლილია ბარამია - 14.50%

კომპანიის დირექტორია: გიორგი შველიძე

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სარესტორნო და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები.

1.2. საქმიანობის მიმოხილვა და სამომავლო გეგმები

სარესტორნო კომპლექსი „წისქვილი“ 2002 წელს შეიქმნა. ოთხი განსხვავებული კონცეფციის სივრცე, როგორც ქართველებისთვის, ისე უცხოელებისთვის, მთავარ სავიზიტო ბარათად იქცა. 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით „წისქვილი ჯგუფი“ აერთიანებდა 7 რესტორანს: ეთნო წისქვილი, ლუდის მოედანი, წისქვილი ვაკეში, წისქვილი წყნეთში, წისქვილი მცხეთაში, წისქვილი ტერასა, თეატრი. ასევე წისქვილი ჯგუფი ფლობდა 50% წილს შპს

წიქვილი

„წიქვილი ბაზარში“, რომელიც მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის ქართულ პროდუქტს: ხილ-ბოსტანს, ხორცპროდუქტებს, მზა კვებას, ბიო და ორგანულ პროდუქტებს, ყველსა და რძის ნაწარმს სთავაზობს. ამავე სივრცეში განთავსებულია მარკეტიც. „წიქვილის ჯგუფის“ მიმდინარე და განსაკუთრებული პროექტი კი „თეატრია“, რომელიც არის მულტიფუნქციური სივრცე, გამორჩეული პავილიონი, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების, წარმოდგენებისა და ვახშმების მოსაწყობად.

პანდემიამდე დაიწყო თეატრის მშენებლობა და გეგმები, რომელიც ამ სივრცესთან დაკავშირებით არსებობდა შეიცვალა, რომლის დასრულებაც მოხდა პანდემიის დასრულების შემდეგ, 2022 წელს. 2024 წელს მოხდა ახალი რესტორნის „წიქვილი ტერასა“ გახსნა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ზ. გამსახურდიას 80 ში.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ წიქვილი ჯგუფი არის კომპანია, რომელიც 23 წლის განმავლობაში განვითარებას არ წყვეტს და აწვითარებს არა მხოლოდ არსებულ სფეროს, არამედ ახალ სიტყვას ამბობს, არ უშინდება გამოწვევებს, ამკვიდრებს სტანდარტებს და ანგრევს სტერეოტიპებს.

ამას ადასტურებს ის ჯილდოები, გამარჯვებები, სერთიფიკატები, მნიშვნელოვანი დაჯილდოებები სადაც ნომინირებულები ვყოფილვართ და არაერთი აღიარება მიგვიღია, ოქრო, ვერცხლი და ა.შ.

გვაქვს სამომავლო ძალიან ამბიციური გეგმები, გვსურს საქართველოს სხვა ქალაქებშიც გაჩნდეს წიქვილის რესტორნები.

1.3. მმართველობის სტრუქტურა

კომპანია მართავს დირექტორი. ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას დირექტორი ათანხმებს დამფუძნებელთა საბჭოსთან. კომპანიის საოპერაციო მართვას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი. ფინანსებსა და ბუღალტრულ აღრიცხვაზე პასუხისმგებელია ფინანსური დირექტორი და მთავარი ბუღალტერი. ხოლო ლოგისტიკისა და მომწოდებლებთან სავაჭრო პირობების განსაზღვრას ხელმძღვანელობს კომერციული დირექტორი. ამას გარდა კომპანიაში ფუნქციონირებს მარკეტინგის, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების, ადამიანური რესურსების მართვისა და სხვა სამსახურები. ყველა რესტორანს ყავს ბრენდ-შეფი რომლებიც ექვემდებარებიან შეფ მზარეულს.

1.4. საქმიანობის შედეგები

2020-2021 წლები საკმაოდ დიდი გამოცდა იყო კომპანიისათვის. კოვიდ პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა მთლიანად სარესტორნო და ტურისტული სეგმენტი. მიუხედავად ობიექტური პრობლემებისა,

წესი

კომპანიის მენეჯმენტმა წარმატებით გაართვა თავი გამოწვევებს, ბელაშვილის ქუჩაზე შექმნა ღია დასაჯდომი სივრცე „ღვინის ეზო“ რამაც გარკვეულწილად დააბალანსა აკრძალვების გამო შემცირებული შემოსავალი, ასევე მოხდა საქმიანობის დივერსიფიკაცია, ვაკის ობიექტზე სარესტორნო სივრცის ნაწილში გაკეთდა ბაზარი/მარკეტი სადაც სხვა პროდუქციასთან ერთად დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს წისქვილი ჯგუფის მიერ დამზადებული კერძები, ნახევარფაბრიკატები და ხორცის ნაწარმი. ამან მისცა საშუალება მენეჯმენტს შეენარჩუნებინა ყველა ღირებული კადრი და ოპერირების შეუწყვეტლად გაეწყო ეს პერიოდი. 2022 წლის ზაფხულში მცხეთაში გაიხსნა რესტორნის ახალი ფილიალი „წისქვილი მცხეთაში“, ხოლო 2022 წლის დასასრულს ბელაშვილზე ამოქმედდა მულტიფუნქციური სივრცე „თეატრი“. 2023 წელს მოხდა „წისქვილი ბაზრის“ გაფართოება, გაიხსნა ახალი მარკეტი ავლაბარში. 2024 წელს გაიხსნა ახალი ფილიალი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ზვიად გამსახურდიას 80 ში, „წისქვილი ტერასა“.

2023-2024 წლების ძირითადი ფინანსური პარამეტრები:

	2024	2023	ზრდა
შემოსავალი	49,095,311	43,420,452	13.1%
რპთ	18,404,599	17,279,174	
მთლიანი მოგება	30,690,712	26,141,278	17.4%
მთ მოგ. %	63%	60%	
მოგება დაბეგვრამდე	1,177,303	288,165	308.6%
მოგების %	2%	1%	
წმინდა მოგება	886,655	139,931	533.6%
მოგების %	2%	0%	

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

ნრსპპილი

2.1. ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი

კომპანია ძირითადად საქართველოში ახდენს რეალიზაციას და შესაბამისად მის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორიცაა : ეკონომიური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა. შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგი მენეჯმენტის მიერ.

2.2. საკანონმდებლო რისკი

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმ გვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

2.3. საოპერაციო რისკი

როგორც ყველა კომპანია შპს წისქვილი ჯგუფიც დგას საოპერაციო რისკების წინაშე. კომპანიაში შექმნილია შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე ყოველკვირეულად განიხილება მენეჯმენტის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები. ყოველ თვის რეპორტინგისას ხდება მიმდინარე/დაგეგმილ/წინა პერიოდის ფინანსურ/არაფინანსურ მონაცემებს შორის ანალიზი და განსხვავების გაანალიზება რისკების შესამცირებლად.

2.4. საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება. ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

ნოსტალი

2.5. ლიკვიდურობის რისკები

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში რომ არ დაზიანდეს კომპანია და კომპანიის რეპუტაცია. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო.

დირექტორი /გიორგი შველიძე/

ფინანსური დირექტორი /გიორგი ნაკაშიძე/

14.11.2025

ნოსტალი

2.5. ლიკვიდურობის რისკები

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში რომ არ დაზიანდეს კომპანია და კომპანიის რეპუტაცია. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო.

დირექტორი /გიორგი შველიძე/



ფინანსური დირექტორი /გიორგი ნაკაშიძე/



14.11.2025